საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება" ფარგლებში ჩამოყალიბებული სექტორული საკოორდინაციო საბჭოს

სხდომის ოქმი # 8

28.12.2015

შეხვედრის დასახელება	**„დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს“ სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**28 დეკემბერი , 2015 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ,,დასაქმების და პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს''თავმჯდომარე
მარიამ რაქვიაშვილი	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ირინა კვახაძე	ა(ა)იპ საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე
ნინო ნარეშელაშვილი	ა(ა)იპ ასოციაციების მართვის ცენტრის(AMC) დირექტორთა საბჭოს წევრი
მიხეილ ჭელიძე	ა(ა)იპ საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციის აღმასრულებელი პრეზიდენტი

საბჭოს წევრების წარმომადგენლები	
შტეფან შტორკი	ევრევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საოპერაციო განყოფილების უფროსის მოადგილე
ნინო ყოჩიშვილი	ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, პროექტის მენეჯერი
ნინო ბერძული	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
თამარ ქიტიაშვილი	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP Georgia), პროფესიული განათლების მრჩეველი

ნინო ბერიანიძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ელზა ჯგერენაია	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
ირინა წეროძე	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ნიკოლოზ მესხიშვილი	პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ლელა მაისურაძე	საქართველოში დასაქმებისა და გადამზადების რეფორმის ტექნიკური დახმარების პროექტის პროფესიული განათლების პოლიტიკის ადგილობრივი ექსპერტი
საბჭოს სხდომის მდივანი	
ქრისტინა გოროდნიჩევა	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის დასაქმების ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი N1	**ფასილიტატორი/მომხსენებელი**
2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსი	**ირინა წეროძე,** პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
	ელზა ჯგერენაია, შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.
საკითხი N1	
საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული III ტრანშის შესაფასებელი EU მისიის ვიზიტის თარიღის განსაზღვრა. საბიუჯეტო დახმარების პროგრამის „დასაქმება და პროფესიული განათლება“ ხელმისაწვდომი	**შტეფან შტორკი,** ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში **ნინო ყოჩიშვილი,** პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში

თანხების გადანაწილების პრესპექტივების განსაზღვრა.	

,,დასაქმების, პროფესიული განათლებისა და გადამზადების სექტორული საკოორდინაციო საბჭოს'' (შემდგომში საკოორდინაციო საბჭო) თავმჯდომარე, ქ-ნი ქეთევან ნატრიაშვილი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული განსახილველი საკითხები:

1. 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული აქტივობების შესრულების სტატუსი;
2. საბიუჯეტო დახმარების პროგრამით „დასაქმება და პროფესიული განათლება“ გათვალისწინებული III ტრანშის შესაფასებელი EU მისიის ვიზიტის თარიღის განსაზღვრა;
3. საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ,,დასაქმება და პროფესიული განათლება“ ხელმისაწვდომი თანხების გადანაწილების პერსპექტივების განსაზღვრა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, ქ-ნი ნინო ბერძული, ასევე, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მოკლედ მიმოიხილა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცის მდგომარეობა. ქ-ნმა ნინომ მადლობა გადაუხადა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლობისათვის.

ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მომხსენებლებს სთხოვა, წარმოედგინათ პრეზენტაციები, სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსმა, ქ-ნმა ირინა წეროძემ, დეტალურად ისაუბრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული ძირითადი კომპონენტების შესრულების შესახებ. ქ-ნმა ირინამ წარმოადგინა პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი აქტივობების განხორციელების სტატუსი და ხაზი გაუსვა სისტემაში მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით დანერგვის საკითხს.

ვინაიდან, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები პროფესიული განათლების შესახებ წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა მიმართა ევროკავშირის დელეგაციას რეკომენდაციისთვის. კერძოდ, მას აინტერესებდა 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტები რამდენად ჩაითვლებოდა შესრულებულად, თუ ისინი დასრულდება 2016 წლის ევროკავშირის მისიის ჩამოსვლის თარიღამდე, ვინაიდან წინა სხდომაზე წარმოდგენილი იყო აღნიშნული წინადადება.

პასუხად ქ-ნმა ნინო ყოჩიშვილმა დასძინა, რომ ინფორმაცია, საბჭოს რეკომენდაციის და მოთხოვნის სახით შეთანხმებისამებრ მიეწოდა ევროკავშირის სპეციალურ სამსახურს.

ქ-ნმა ქეთევანმა სიტყვა გადასცა მეორე მომხსენებელს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ელზა ჯგერენაიას.

ქ-ნმა ელზა ჯგერენაიამ ისაუბრა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის პოლიტიკის მატრიცით განსაზღვრული კომპონენტების განსახორციელებელი ღონისძიების შესახებ. ქ-ნმა ელზამ ხაზი გაუსვა, რომ მომზადებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ანგარიშები, რომლებიც განთავსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე. ამასთან, გამოცემულია წარმოდგენილი კვლევის ანგარიშები, როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურ ენაზე და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ა/წ 29 დეკემბერს, გაიმართება დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ შემაჯამებელი კონფერენცია, სადაც წარმოდგენილი იქნება შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.

რაც შეეხება 2015 წლის პოლიტიკის მატრიცის R1.2.2 პუნქტს, ქ-ნმა ელზამ დასძინა, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის (Worknet.gov.ge) განვითარებისათვის და ყველა მოდულის ასამუშავებლად, აყვანილნი არიან მაღალკვალიფიციური პროგრამისტები და ინტენსიურად მიმდინარეობს საჭირო სამუშაოების განხორციელება.

ვინაიდან, ჯგუფის მონაწილეებს არ ჰქონდათ შეკითხვები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ, ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა განსახილველად წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი - საბიუჯეტო დახმარების პროგრამით გათვალისწინებული III ტრანშის შესაფასებელი EU მისიის ვიზიტის თარიღის განსაზღვრა.

დისკუსიის შედეგად, ევროკავშირის მისიის სავარაუდო ჩამოსვლის თარიღად 2016 წლის მარტის ბოლო კვირა დასახელდა. აღნიშნულ თარიღს ევროკავშირის წარმომადგენლობა შესათანხმებლად წარუდგენს ევროკავშირის მისიას.

„ბ-ნი შტეფან შტორკისა და ქ-ნი ნინო ყოჩიშვილის მხრიდან, მოხდა შეთავაზება ფინანსური შეთანხმების დოკუმენტის „დასაქმება და პროფესიული განათლება და გადამზადების" ფარგლებში საგრანტო კონკურსისა და დაძმობილების პროექტის საწყისი ბიუჯეტიდან დარჩენილი თანხების ათვისებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იმის გათვალისწინებით, რომ არ

მოხდეს აუთვისებელი თანხების (დაახლეობით 630 000 ევრო) დაკარგვა, საჭიროა, ორივე ბენეფიციარი სამინისტროს მიერ წერილობითი მოთხოვნის გაგზავნა 2016 წლის იანვრის თვეში, რათა მომავალი წლის ნოემბრისთვის დარჩენილი თანხები გადანაწილდეს პროფესიული განათლებისა და შრომის სექტორებზე. ქ-ნი ნინო ყოჩიშვილის თქმით, მოსალოდნელია აღნიშნული თანხების გაყოფა ორი მიმართულებით, რაც მოიცავს ტექნიკურ დახმარების მიმდინარე კონტრაქტზე და პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლების ახალ კონტრაქტზე აღნიშნული თანხების (400000 და 230 000 ევროს) დამატებას.

სხდომა შეაჯამა და დახურულად გამოაცხადა ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა.